

ხელშეკრულება №23

ხელშეკრულების დადების ადგილი.

დაბა შუახევი ჭავჭავაძის ქ.#1

ხელშეკრულების დადების თარიღი: 2012 წლის 24 სექტემბერი

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

„შემსყიდველი“ დაბა შუახევი საჯარო სკოლა-(პანსიონის) დირექტორის მ/შ ლევან გუნდაძის სახით:
მისამართი: ---დაბა შუახევი ჭავჭავაძის ქ.№1 საბანკო რეკვიზიტები: ბანკის დასახელება ---ლიბერთი ბანკი-----
ბანკის კოდი 220101445 LBRTGE22 სკოლა-პანსიონის ანგარიშის №GE80LBO121166148869001 ს/კ 247861504
„მიმწოდებელი“ (მიმწოდებლის სრული დასახელება შპს „უნიფორმა პლუსი“ დირექტორის ვაჟა ბერიძის სახით
მისამართი: ქ. ბათუმი პუშკინის ქ.#56 ანგარიშის №GE27PC0343600100014754 საინდივიდუალური კოდი 445400110
სს „პროკრედიტ ბანკი“ ბანკის კოდი MIBGGE22 ერთი მხრივ- შემსყიდველი და მეორეს მხრივ მიმწოდებელი,
გამარტივებული შესყიდვის CPV39500000 კოდების საფუძველზე „სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ დებულების
(11.10 მუხლის 3 ა პუნქტი) შესაბამისად ადასტურებენ, რომ მათ შორის მიღწეულია შეთანხმება შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე „მიმწოდებელი“ თანახმაა უზრუნველყოს „შემსყიდველისათვის სამუშაო ტანსაცმელი ხალათები და სხვა (შემდგომში საქონელი) ხოლო „შემსყიდველი“ კისრულობს ვალდებულებას მიიღოს მოთხოვნილი საქონელი და გადაიხადოს მისი ღირებულება ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესით.

1.2. მთლიანი სახელშეკრულებო თანხა შეადგენს 169 (ასამოცდაცხრა) ლარს.

1.3. შესყიდვის ობიექტის რაოდენობა ერთეულის ფასი, მთლიანი თანხა და გადახდის გრაფიკი განისაზღვრება ფორმა №3 მიხედვით, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

1.4 ხელშეკრულების 1.2 პუნქტში მითითებული შესყიდვის ობიექტის მთლიანი სახელშეკრულებო ღირებულება წარმოადგენს საორიენტაციო თანხას, შემსყიდველი არ არის ვალდებული შეიძინოს ზემოაღნიშნულ პუნქტში დაფიქსირებული საქონელი. შემსყიდველის მიერ საქონლის შექენა მოხდება 2012 წლის პერიოდში წარმოშობილი საჭიროების მიხედვით.

2. საქონლის მიღება-ჩაბარება

2.1. საქონელი მიღებულად ჩაითვლება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

2.2 მიღება-ჩაბარების აქტი ფორმდება შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის, რომელსაც ხელს აწერენ საამისოდ უფლებამოსილი პირები.

2.3 მიღებული საქონლის საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს „მიმწოდებელი“.



3. გარანტია

3.1. მიმწოდებელის მიერ ამ ხელშეკრულებით დაკისრებული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში შემსყიდველს უფლება აქვს თვითონ მიიღოს ზომები მიღებული საქონლის ხარვეზების გამოსწორებისთვის და მოთხოვოს მიმწოდებელს შესაბამისი ხარჯების ანაზღაურება ან გამოქვითოს ეს თანხა ხელშეკრულების მიხედვით მიმწოდებლისათვის გადასახდელი თანხიდან.

4. ანგარიშსწორება

4.1 ანგარიშსწორების ფორმა: უნაღდო

4.2 ანგარიშსწორების ვალუტა: ქართული ლარი

5. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

5.1 შემსყიდველს უფლება აქვს ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს ტექნიკური კონტროლი. შემსყიდველმა წერილობითი სახით და თავისდროულად უნდა აცნობოს მიმწოდებელს ამ მიზნებისთვის განკუთვნილი თავისი წარმომადგენლის შესახებ.

6. ფორს-მაჟორი

6.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოებების შედეგი.

6.2 ამ მუხლის მიზნებისათვის "ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადასალახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველსა და ან შემსრულებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან.

6.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლიბელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუფონდებლად უნდა გაეგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამოინახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიური ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

7. სადაო საკითხების გადაწყვეტა

7.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა დონე უნდა იხმართოს რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოგვარონ ყველა უთანხმოება და დავა.



7.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 20 დღის განმავლობაში შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ვერ შეძლეს სადაო საკითხების შეთანხმების მოგვარება ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

8. შეტყობინება

8.1. ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე ხელშეკრულების შესაბამისად უზავენის მეორე მხარეს გაიგზავნება წერილის, დეპეშის, ფაქსის სახით ორიგინალის შემდგომი წარდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე.

7.2. შეტყობინება ძალაში შედის ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს, ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენის დღეს იმის მიხედვით თუ ამ თარიღიდან რომელი უფრო გვიან დგება.

9. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

9.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერისთანავე და მოქმედებს მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებამდე.

10. სხვა პირობები

10.1. მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, ბაჟების, მოსაკრებლების და სხვა გადასახადების გადახდაზე.

10.2. ხელშეკრულებაში დამატებების ან/და ცვლილებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობით ფორმით მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

10.3 ორივე მხარე უფლებამოსილია მოშალოს ეს ხელშეკრულება ცალმხრივად, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავის ვალდებულებების ჯეროვან შესრულებას ან სხვა მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში.

10.4. ხელშეკრულება შესრულებულია და ხელმოწერილია ორ ეგზემპლარად. თითო ეგზემპლარი ინახება ხელშეკრულების მონაწილე მხარეებთან და აქედან თანაბარი იურიდიული ძალა.

შემსყიდველი:

დ. შუახვეის სკოლის დირექტორის მომ. / ლევან გუნდაძე /

მიმწოდებელი:

შპს „უნიფორმა პლუსი“ დირექტორი:



